II მოდულის კლინიკები:

სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრის კლინიკა (15 კრედიტი) - წარმოადგენს ა(ა)იპ "სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრის" პროგრამის ფარგლებში არსებულ საადვოკატო პრაქტიკას, რომელიც გულისხმობს მაგისტრანტების განაწილებას იურიდიული დახმარების მომსახურების ოფისებში (მუნიციპალიტეტებში) და შემდეგ აქტივობებს ზედამხედველი ადვოკატის მეთვალყურეობის ქვეშ:

• სამართლებრივი კონსულტაციების გაცემას;
• სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების შედგენას;
• ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელებას;
• შესაბამის ადმინისტრირებას (კონსულტაციების აღრიცხვა, სტატისტიკის მომზადება და შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა).

კლინიკის მიზანია სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს მისცეს საშუალება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენოს პრაქტიკაში; გამოუმუშაოს სამართლებრივი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, პასუხიმგებლობის გაზიარებისა და ადმინისტრირების უნარი. დამოუკიდებელი მუშაობის ფარგლებში სტუდენტი განახორციელებს სამართლებრივი ბაზისა და სასამართლო პრაქტიკის მოძიებასა და ანალიზს. კლინიკის ხელმძღვანელი – მარინა ბერაძე. კლინიკის გავლის ადგილი – თბილისის სხვადასხვა მუნიციპალიტეტები. დატვირთვა – კვირაში დღე ნახევარი - 2 დღე.

პრაქტიკული სამართლის კლინიკა (15 კრედიტი) - გულისხმობს იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტების (შემდგომში ტრენერები) მიერ თბილისის საჯარო/კერძო სკოლების უფროსკლასელთათვის სამართლის ტრენინგების ჩატარებას ისეთ ძირითად სამართლებრივ საკითხებზე, როგორიცაა: სამართალი და სამართლებრივი სისტემები; კონსტიტუცია და დემოკრატია; ადამიანის უფლებები და თავისუფლებები; სისხლის სამართალი; არასრულწლოვანთა უფლებები; სამოქალაქო სამართალი; მოლაპარაკების წარმოება (თემატიკა მკაცრად შეზღუდული არ არის და კლინიკის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ხდება განსხვავებული საკითხების დამუშავებაც). კლინიკაში საქმიანობის დაწყებამდე სტუდენტები გადიან სამდღიან ინტენსიურ ტრენინგს (TOT) ტრენერის უნარ-ჩვევების შესაძენად, რის შემდეგაც იწყებენ სკოლის მოსწავლეთათვის ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების სწავლებას. ტრენერები მუშაობენ წყვილში, ამუშავებენ გაკვეთილების მოდულებს და სემესტრის განმავლობაში ატარებენ 12 გაკვეთილს, თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობაა 1 საათი და 15/25 წუთი. გარდა აღნიშნული საქმიანობისა, კლინიკაში მოხვედრისას სტუდენტი ესწრება ყოველკვირეულ სემინარებს (სულ 12 სემინარი), წარმოადგენს პრეზენტაციებს სამართლის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

კლინიკის ხელმძღვანელი - ანა ხარაიშვილი. კლინიკის გავლის ადგილი – თსუ, თბილისის სხვადასხვა სკოლები. დატვირთვა – კვირაში ერთხელ, სამუშაო დღეს 75 წუთიანი გაკვეთილის ჩატარება (სემესტრის ბოლო 2 კვირის განმავლობაში – კვირაში 2 გაკვეთილი), კვირაში ერთხელ სემინარი.

იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკის (15 კრედიტი) ფარგლებში მაგისტრანტს შესაძლებლობა ეძლევა აქტიურად ჩაერთოს, დააკვირდეს და აითვისოს ერთ-ერთი ძირითადი იურიდიული სპეციალობის - ადვოკატის - საქმიანობის სპეციფიკა, უნარ-ჩვევები. გასაუბრების შედეგად შერჩეული მაგისტრანტთა ჯგუფი მიმაგრებული იქნება პრაქტიკის გასავლელად იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში. ჯგუფის ხელმძღვანელობა ადგილზე დაევალება ბიუროს უფროსს. პრაქტიკას კოორდინირებას გაუწევენ, ერთი მხრივ, იურიდიული დახმარების სამსახური – ორგანიზაციული მხარე და, მეორე მხრივ, კლინიკის ხელმძღვანელი. პრაქტიკის ფარგლებში მაგისტრანტებს დაენიშნებათ ხელმძღვანელი ადვოკატი, საშუალება მიეცემათ გაეცნონ საადვოკატო საქმიანობის დეტალებს, შეისწავლონ სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის კულტურა, დაცვის ტექნიკა, კლიენტთან ურთიერთობა. მაგისტრანტებს ასევე ყოველკვირეულად ჩაუტარდებათ ლექციები თსუ-ში (კვირაში 2 საათი), რომლის ძირითადი თემატიკა განისაზღვრება კლინიკის სილაბუსით. ამასთან, პრაქტიკანტები გაივლიან პრაქტიკულ სემინარებს, რომლებსაც წარუძღვებიან იურიდიული დახმარების სამსახურის პრაქტიკოსი თანამშრომლები. იურიდიული კლინიკის პრაქტიკული კურსის გავლის შედეგად პრაქტიკანტი იღებს იურიდიული კლინიკის პრაქტიკული კურსის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს, რომლის მიღების ძირითადი პირობები და წესი განისაზღვრება იურიდიული კლინიკის დებულებით. პრაქტიკის ბოლოს მაგისტრანტი აბარებს ფინალურ გამოცდას. კლინიკის ხელმძღვანელი გიორგი ჩაკვეტაძე. კლინიკის გავლის ადგილი – იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიურო. დატვირთვა – კვირაში 3 სამუშაო დღე.

III მოდულის კლინიკები:

მე-3 მოდულის კლინიკების დატვირთვა საშუალოდ, კვირაში დღენახევარია. თუმცა ზოგიერთ კლინიკას მუშაობის სპეციფიური განრიგი აქვს, მაგალითისთვის საქალაქო სასამართლოს კლინიკების დატვირთვა კვირაში 3 სრული სამუშაო დღეა. კონკრეტული კლინიკების დატვირთვებთან დაკავშირებით მიმართეთ ანა ხარაიშვილს - 577 475515.

იურიდიული ფირმა „მგალობლიშვილი ყიფიანი ძიძიგურის“ საადვოკატო კლინიკის (10 კრედიტი) ფარგლებში მაგისტრანტს შესაძლებლობა ეძლევა აქტიურად ჩაერთოს, დააკვირდეს და აითვისოს ერთ–ერთი ძირითადი იურიდიული სპეციალობის – ადვოკატის – საქმიანობის სპეციფიკა, უნარ–ჩვევები. გასაუბრების შედეგად შერჩეული მაგისტრანტი იურუდიული პრაქტიკის გასავლელად მიმაგრებული იქნება იურიდიულ ფირმაში

„მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგური“. პრაქტიკას კოორდინირებას გაუწევს, იურიდიული ფირმის მმართველი პარტნიორი. პრაქტიკის ფარგლებში მაგისტრანტს დაენიშნება ხელმძღვანელი - იურიდიული ფირმის ერთ–ერთი იურისტი და საშუალება მიეცემა გაეცნოს იურიდიული საქმიანობის კონკრეტულ დეტალებს, შეისწავლოს იურიდიულ დოკუმენტებთან (ხელშეკრულება, მემორანდუმი, სამართლებრივი დასკვნა და ა.შ.) მუშაობის წესი და კულტურა, მათი შედგენის ტექნიკა, კლიენტთან ურთიერთობის უნარ–ჩვევები. იურიდიული ფირმის თანამშრომელთა ხელმძღვანელობით პრაქტიკანტი მიიღებს აქტიურ მონაწილეობას მიმდინარე კონკრეტული პროექტების განხორციელებაში. კლინიკის ხელმძღვანელი - დავით ძიძიგური. კლინიკის გავლის ადგილი - კომპანია „მგალობლიშვილი, ყიფიანი, ძიძიგურის“ ოფისი. კლინიკაში საქმიანობის დასაწყებად მაგისტრანტი კარგად უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას.

მედიაციის კლინიკა (თსუს დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ცენტრის ბაზაზე) (10 კრედიტი) ფარგლებში ხორციელდება უშუალოდ მედიატორის როლის თეორიული საფუძვლებისა და უნარ-ჩვევების, მედიაციის პროცესის წარმართვის სტრატეგიული, ტექნიკური ხერხების სწავლება. საკონტაქტო საათები ეთმობა მედიაციის თეორიული საფუძვლების შესწავლას სალექციო ფორმატში, მედიაციის როლურ გათამაშებებს (სიმულაციებს) მედიატორი სტუდენტის მონაწილეობით, მათი თანამედიატორობით, მედიატორის ჩართულობაზე სასწავლო ვიდეოების განხილვასა და წერილობითი დასკვნების მომზადებას, საკუთარი მედიაციის ვიდეოების პრეზენტაციას და კრიტიკულ შეფასებას, პრაქტიკოს მედიატორებთან წარმოებული ინტერვიუების საფუძველზე მომზადებული მოხსენების/კვლევის პრეზენტაციას, კლინიკის წევრ სხვა სტუდენტთა მედიატორად მონაწილეობის სიტყვიერ და წერილობით შეფასებას. ა.შ. კლინიკის ხელმძღვანელი - ნათია ჩიტაშვილი. კლინიკის გავლის ადგილი - თსუ.

სასამართლო პრაქტიკის კვლევის, დოქტრინალური ანალიზისა და განზოგადების კლინიკა სანივთო სამართალში (10 კრედიტი) მოიცავს კვლევითი და პრაქტიკული შინაარსის კომპონენტებს. კვლევითი კომპონენტის ფარგლებში ძირითადად ხორციელდება სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი კვლევა და ანალიზი კლინიკის ხელმძღვანელის სამეცნიერო ზედამხედველობით, ხოლო პრაქტიკული სეგმენტის ფარგლებში სტუდენტი ახდენს კვლევის შედეგების პრეზენტაციას. კურსის ფარგლებში საწყის ეტაპზე ხორციელდება კლინიკის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ იმ სასამართლო გადაწყვეტილებების განსაზღვრა, რომელზეც სტუდენტების მიერ წარიმართება თემატურად დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და მეცნიერული კვლევა. შერჩეულ გადაწყვეტილებებთან კავშირში მაგისტრანტის მიერ ხორციელდება სამართლის განვითარებისა და პრაქტიკის განზოგადებისათვის მნიშვნელოვანი მსგავსი თუ განსხვავებული გადაწყვეტილებების მოძიება და მათში განვითარებული ერთგვაროვანი/განსხვავებული მიდგომების ანალიზი. მაგისტრანტი ახდენს გადაწყვეტილებაში გასაანალიზებელი პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას, კვლევის ძირითადი მიმართულებების დასახვასა და სამუშაო გეგმის

შედგენას. მაგისტრანტი წერს გადაწყვეტილების ანალიზს კლინიკის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურისა და სისტემის დაცვით. მოიძიებს მსგავსი შინაარსის დავებზე უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებებს და თარგმნის მათ საჭირო ფრაგმენტებს,საჭიროების შემთხვევაში - სრულად. სწავლობს ქართულ და უცხოურ გადაწყვეტილებებს ურთიერთკავშირში დოქტრინის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაანალიზების გზით, ადგენს უცხოური და ქართული გადაწყვეტილებების ერთგვაროვნების საკითხს ან მიუთითებს მათ არაერთგვაროვნებაზე. ნორმის გამოყენების პრაქტიკის ანალიზის გზით აფასებს სამართალშეფარდების ეფექტურობას, დოქტრინისა და პრაქტიკის თავსებადობას. კვლევის შუალედურ შედეგებს წარუდგენს კლინიკის ხელმძღვანელს და ითვალისწინებს რეკომენდაციებს დამატებითი კვლევის საჭიროების შესახებ. ახდენს კვლევის შედეგების შეჯამებას, შეიმუშავებს სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესების ან საკანონმდებლო სრულყოფის რეკომენდაციებს, ნორმათა განმარტებებს პრაქტიკისა და დოქტრინის შედარებითი პერსპექტივიდან. კვლევის შედეგებს აყალიბებს და აძლევს მას სისტემურ, დოკუმენტალურ სახეს. კლინიკის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გაიცეს რეკომენდაცია გადაწყვეტილების მაღალი ხარისხით შესრულებული ანალიზის ელექტრონულ გამოქვეყნებაზე. კლინიკის ხელმძღვანელი – თამარ ზარანდია. კლინიკის გავლის ადგილი - თსუ.

სასჯელაღსრულების კლინიკის (10 კრედიტი) ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აქტიურად ჩაერთოს, დააკვირდეს და აითვისოს სასჯელაღსრულების სამართლით დარეგულირებული პროცედურები, შეისწავლოს და თავად გახდეს ეფექტური მართლმსაჯულების გარანტის _ სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილების აღსრულების თანამედროვე სისტემებისა და სასჯელაღსრულების სამართლის მოქმედების არეალის მონაწილე. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აითვისონ სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლისა და პრობაციის ოფიცრისათვის დამახასიათებელი ძირითადი პროფესიული უნარ-ჩვევები და საკუთარი წვლილი შეიტანონ სასჯელის აღსრულების პროცესში. გასაუბრების შედეგად შერჩეულ მაგისტრანტთა ჯგუფი პრაქტიკის გასავლელად მიმაგრებული იქნება ს.ს.ი.პ. „პრობაციის ეროვნული სააგენტო”-ს თბილისის პრობაციის ბიუროში. ჯგუფის ხელმძღვანელობა ადგილზე დაევალება ჩამოთვლილი უწყების მიერ იდენტიფიცირებულ თანამშრომელს, ხოლო საერთო ხელმძღვანელობას, სასწავლო ვიზიტებზე თანხლებას, ვიზიტის შედეგების განხილვასა და კანონმდებლობის მიმოხილვას უზრუნველყოფს კლინიკის ხელმძღვანელი. პრაქტიკანტებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ არამარტო სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებულ საქმიანობასა და ჩამოთვლილი უწყებების შემადგენელი რგოლის საქმიანობის სპეციფიკას, არამედ სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელი პერსონალის გადამზადების სპეციფიკას. იურიდიული კლინიკით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის დასასრულს, მოეწყობა შემაჯამებელი გამოცდა. იურიდიული კლინიკის პრაქტიკული კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში პრაქტიკანტი მიიღებს იურიდიული კლინიკის პრაქტიკული კურსის გავლის

დამადასტურებელ სერტიფიკატს. კლინიკის ხელმძღვანელი – გივი მიქანაძე. კლინიკის გავლის ადგილი – სხვადასხვა.

„მარგველაშვილი, რეალ ქონსალტინგის“ საადვოკატო კლინიკის (10 კრედიტი) ფარგლებში, მაგისტრანტს შესაძლებლობა ეძლევა აქტიურად ჩაერთოს, დააკვირდეს და აითვისოს ადვოკატის - საქმიანობის სპეციფიკა, უნარ-ჩვევები. გასაუბრების შედეგად შერჩეული მაგისტრანტთა ჯგუფი საადვოკატო პრაქტიკას გაივლის „მარგველაშვილი, რეალ ქონსალტინგის“ ადვოკატებთან. ჯგუფს „მარგველაშვილი, რეალ ქონსალტინგის“ მმართველი პარტნიორი უხელმძღვანელებს. პრაქტიკულ მეცადინეობებს კოორდინირებას გაუწევენ „მარგველაშვილი, რეალ ქონსალტინგის“ პარტნიორები. კურსის ფარგლებში მაგისტრანტებს ხელმძღვანელი ადვოკატი დაენიშნებათ. მაგისტრანტები გაეცნობიან საადვოკატო საქმიანობის დეტალებს, შეისწავლონ სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტის შედგენის წესს, იმუშავებენ დაცვის ტექნიკისა და კლიენტთან ურთიერთობის თავისებურებებზე. იურიდიული კლინიკის პრაქტიკული კურსის გავლის შედეგად, პრაქტიკანტი იურიდიული კლინიკის პრაქტიკული კურსის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს მიიღებს. სერტიფიკატის მიღების ძირითადი პირობები და წესი განისაზღვრება „მარგველაშვილი, რეალ ქონსალტინგის“ ადმინისტრაციის მიერ. კლინიკის ხელმძღვანელი – დავით ხუნწარია. კლინიკის გავლის ადგილი – კომპანიის ოფისი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს კლინიკის (10 კრედიტი) ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ აქტიურად ჩაერთონ და აითვისონ სასამართლოში საქმეთა მომზადებისა და განხილვის სპეციფიკა, აგრეთვე შეისწავლონ ცალკეული საპროცესო დოკუმენტების მომზადების ტექნიკა და ის უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია პრაქტიკული საქმიანობისთვის. შერჩეული მაგისტრანტები პრაქტიკის გასავლელად მიმაგრებული იქნებიან სხვადასხვა მოსამართლესთან. პრაქტიკანტებს საშუალება მიეცემათ არა მარტო გაეცნონ სასამართლოში საქმეთა მომზადებისა და განხილვის პროცედურებს არამედ, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასამართლო აქტების შექმნის პროცესში. მათ საშუალება მიეცემათ ასევე იმუშაონ გადაწყვეტილებებისა და განჩინებების პროექტებზე და გაიღრმავონ თეორიული ცოდნა, ისინი უშუალოდ დაესწრებიან სასამართლო პროცესებს და შეისწავლიან იმ უნარ-ჩვევებს რაც აუცილებელია სასამართლო პროცესზე საკუთარი პოზიციების წარმოსაჩენად. ყოველკვირეულად კლინიკის ხელმძღვანელთან ერთად შეაჯამებენ საპროცესო სამართლის აქტუალურ საკითხებს. კლინიკის ხელმძღვანელი – თამარ ლაკერბაია და ეკა ზარნაძე. კლინიკის გავლის ადგილი – თბილისის საქალაქო სასამართლო.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის კლინიკაში (10 კრედიტი) საქმიანობა გულისხმობს ადვოკატის პროფესიული ეთიკის პრაქტიკაში შესწავლას. ეთიკის კომისია თავისი საქმიანობით ხელს უწყობს საადვოკატო პროფესიული სტანდარტების ამაღლებასა და დაცვას და აღჭურვილია უფლებამოსილებით დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში ადვოკატს დააკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, რაც გამოიხატება,

როგორც ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვაში, ასევე გაფრთხილებაში, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერებაში ან შეწყვეტაში. ასევე, ეთიკური დარღვევების პრევენციის მიზნით, ეთიკის კომისია, ადვოკატის შეკითხვით მომართვის შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციას, რაც დამატებით უზრუნველყოფს ეთიკის კომისიის საგანმანათლებლო ფუნქციას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სტუდენტს პროფესიაში შესვლამდე გააჩნდეს ცოდნა და ის უნარ-ჩვევები, რაც დაეხმარება, საჭიროების შემთხვევაში, პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღებაში და თავიდან აარიდებს კლიენტებთან, კოლეგებთან თუ სასამართლოსთან დამოკიდებულებაში არასათანადო ქცევით გამოწვეულ შედეგებს. ადვოკატის პროფესიული ქცევის სტანდარტების შესწავლა უზრუნველყოფს საადვოკატო საქმიანობისას ამ ურთიერთობიდან წარმოშობილი შესაძლო პრობლემების პრევენციას. კლინიკა განკუთვნილია როგორც იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც იცნობენ ადვოკატის პროფესიულ ეთიკას, ასევე მათთვის, ვისაც აღნიშნული დისციპლინა არ გაუვლია საუნივერსიტეტო სწავლებისას. კლინიკა შედგება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ნაწილისაგან. კლინიკაში საქმიანობის დაწყებამდე სტუდენტები გადიან სათანადო თეორიულ-ინტერაქტიულ კურსს იმ ძირითადი უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად, რაც მათ მისცემთ საშუალებას დამოუკიდებლად გაართვან თავი კლინიკაში დაგეგმილ შემდგომ აქტივობებს. კლინიკაში მუშაობისას სტუდენტები გაეცნობიან როგორც საადვოკატო პროფესიულ ეთიკურ ქცევის წესებს, ასევე დისციპლინური წარმოების პროცედურას, ეთიკის კომისიის პრაქტიკას, გადაწყვეტილებათა და რეკომენდაციათა მომზადების თავისებურებებს და საშუალება ექნებათ თავად ჩაერთონ დისციპლინურ წარმოებაში, დაესწრონ სხდომებს, რეალური შეხება ჰქონდეთ ადვოკატებთან და მათ კლიენტებთან, იმუშაონ ადვოკატის პროფესიულ ეთიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მოამზადონ დოკუმენტები, შედარებით-კვლევითი სტატიები, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებათა ანალიზი. იურიდიული კლინიკით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის დასასრულს, მოეწყობა იმიტირებული პროცესი და შემაჯამებელი გამოცდა. კლინიკის ფარგლებში სტუდენტები იმუშავებენ როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე. იურიდიული კლინიკის პრაქტიკული კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში მონაწილე შეფასების გარდა დამატებით მიიღებს იურიდიული კლინიკის გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატს. კლინიკის ხელმძღვანელი – თამარ ხუბულური. კლინიკის გავლის ადგილი – საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

პრაქტიკული სამართლის კლინიკის სტაჟირება (10 კრედიტი) გულისხმობს იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტების (შემდგომში ტრენერები) მიერ თბილისის საჯარო/კერძო სკოლების მოსწავლეთათვის სამართლის ტრენინგების (გაღრმავების კურსი) ჩატარებას სამართლის აქტუალურ საკითხებზე. კლინიკის არჩევის წინაპირობაა პრაქტიკული სამართლის კლინიკის (15 კრედიტი) გავლა. ტრენერები მუშაობენ წყვილში, ამუშავებენ გაკვეთილების მოდულებს და სემესტრის განმავლობაში ატარებენ 10 გაკვეთილს, თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობაა 1 საათი და 15/25 წუთი. გარდა აღნიშნული

საქმიანობისა, კლინიკაში მოხვედრისას სტუდენტი ესწრება სემინარებს (სულ 10 სემინარი). კლინიკის ხელმძღვანელი – ანა ხარაიშვილი. კლინიკის გალის ადგილი – სხვადასხვა.

იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკა (10 კრედიტი) გულისხმობს კლინიკის ხელმძღვანელის მეთვალყურეობით შერჩეული მაგისტრანტების მიერ იუსტიციის სასწავლო ცენტრის მხრიდან ყოველსემესტრულად განსაზღვრულ თემებზე ტრენინგმოდულების მომზადებასა და სასწავლო ცენტრის სხვადასხა სამიზნე ჯგუფებისთვის ტრენინგების ჩატარებას. კლინიკის ფარგლებში სტუდენტები იუსტიციის სასწავლო ცენტრის ბაზაზე გადიან ტრენერთა ტრენინგს (TOT). კლინიკის არჩევის წინაპირობაა პრაქტიკული სამართლის კლინიკის (20 კრედიტი) გავლა. კლინიკის ხელმძღვანელი – ანა ხარაიშვილი. კლინიკის გავლის ადგილი – თსუ, იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

დანაშაულის პრევენციის ცენტრის კლინიკაში (10 კრედიტი) მაგისტრანტი გაეცნობა ყოფილ პატიმრებთან იურიდიული მომსახურების კუთხით მუშაობის სპეციფიკას და მონაწილეობას მიიღებს საკონსულტაციო საქმიანობაში. სტუდენტს საშუალება ექნება ბაკალავრიატის კურსზე მიღებული თეორიული ცოდნა რეალურ ვითარებაში მრავალფეროვანი მიმართულებებით განავითაროს, აითვისოს იურიდიული დახმარების, კონსულტირების პრაქტიკული ასპექტები. კლინიკის მონაწილეების ძირითადი საქმიანობა პრაქტიკულ სამუშაოზე იქნება ორიენტირებული. მათი სამუშაო მოიცავს როგორც ზედამხედველობის ქვეშ წარმოებულ საკონსულტაციო მომსახურებას, ისე ცენტრში შემოსული საინტერესო პრობლემების განხილვას. ყურადღება მიექცევა გუნდურ მუშაობასა და კოლეგიური ჩვევების განვითარებას. კლინიკის ხელმძღვანელი ლადო ჯავახიშვილი. კლინიკის გავლის ადგილი – სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადების კლინიკა სააპელაციო სასამართლოში (10 კრედიტი). კლინიკას მაგისტრანტები გაივლიან თბილისის სააპელაციო სასამართლოში. სტუდენტი: ● მოიძიებს სასამართლო პრაქტიკისა და განმარტებისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სამოქალაქო კატეგორიის დავებზე; ● საქმის მონაწილეთა იდენტიფიკაციის გამორიცხვის მიზნით, დაშტრიხავს მოძიებულ გადაწყვეტილებას; ● დაამუშავებს მოძიებულ გადაწყვეტილებას სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით (მუხლები, რომლებიც განმარტებულია გადაწყვეტილებით; მუხლები, რომლებსაც ეფუძნება გადაწყვეტილება; საკვანძო სიტყვები/თემები; გადაწყვეტილების თეზისი); ● წერს გადაწყვეტილების ანალიზს (ე.წ. Case Brief); ● მოიძიებს უცხოურ სასამართლო პრაქტიკას ანალოგიური კატეგორიის დავებზე; ● თარგმნის მნიშვნელოვან უცხოურ გადაწყვეტილებებს (ე.წ. Landmark Cases); ● მოიძიებს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ დოქტრინას; ● შეისწავლის სასამართლო გადაწყვეტილების წერის ტექნიკას (რელაციისა და სუბსუმციის მეთოდებს). სასწავლო კურსის მიზანია მაგისტრანტმა შეისწავლოს მოქმედი სასამართლო პრაქტიკა; გაანალიზოს და შეაფასოს გადაწყვეტილებათა დასაბუთების დადებითი და უარყოფითი მხარეები; შედარებითი კვლევის მიზნებისათვის მოიძიოს და გაეცნოს უცხოურ

სამოსამართლო სამართალს; გამოიმუშავოს გადაწყვეტილების დამუშავების, თარგმნის, წერისა და შეფასების უნარები. კლინიკის ხელმძღვანელი - უჩა თოდუა. კლინიკის გავლის ადგილი - თბილისის სააპელაციო სასამართლო.

ადამიანის უფლებათა კლინიკის (სახალხო დამცველის აპარატის ბაზაზე) (10 კრედიტი) ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა აქტიურად ჩაერთოს და აითვისოს დახურული ტიპის დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა მონიტორინგის განხორციელებისა და დარღვევებზე რეაგირების უნარ-ჩვევები. სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ აითვისონ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისათვის დამახასიათებელი ძირითადი პროფესიული უნარ-ჩვევები და საკუთარი წვლილი შეიტანონ ადამიანის უფლებათა დაცვაში. კურსი მოიცავს 15 სასწავლო კვირას (ერთი სასწავლო სემესტრი), კვირაში 4 საკონტაქტო საათს. გასაუბრების შედეგად შერჩეულ მაგისტრანტთა ჯგუფი პრაქტიკის გასავლელად მიმაგრებული იქნება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან. ჯგუფის ხელმძღვანელობა ადგილზე დაევალება სახალხო დამცველის აპარატის მიერ იდენტიფიცირებულ თანამშრომელს, ხოლო საერთო ხელმძღვანელობას, სასწავლო პროცესსა და კანონმდებლობის მიმოხილვას უზრუნველყოფს კლინიკის ხელმძღვანელი. პრაქტიკანტებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ არამარტო დახურული ტიპის დაწესებულებებში მონიტორინგის განხორციელების სპეციფიკას, არამედ მოქალაქეთა მიღების და მათთან ურთიერთობის პროცესს, მართლმსაჯულებისა და გენდერულ საკითხთა დეპარტამენტების, აგრეთვე, სპეციალიზირებული ცენტრების საქმიანობასა და სპეციფიკას. დამატებით, სტუდენტები შეისწავლიან მონიტორინგის განმახორციელებელ საერთაშორისო მექანიზმებს და საშუალება ექნებათ ამ მექანიზმების საქმიანობის შესახებ უშუალო ინფორმაცია მიიღონ საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის წარმომადგენლებისგან. კლინიკის ხელმძღვანელი – გივი მიქანაძე. კლინიკის გავლის ადგილი – სხვადასხვა.

იურიდიული ფირმა „გარანტია“-ს საადვოკატო კლინიკის (10 კრედიტი) ფარგლებში მაგისტრანტს შესაძლებლობა ეძლევა აქტიურად ჩაერთოს, დააკვირდეს და აითვისოს ერთ–ერთი ძირითადი იურიდიული სპეციალობის – ადვოკატის – საქმიანობის სპეციფიკა, უნარ–ჩვევები. გასაუბრების შედეგად შერჩეულ მაგისტრანტს საშუალება მიეცემა გაეცნოს იურიდიული საქმიანობის კონკრეტულ დეტალებს, შეისწავლოს იურიდიულ დოკუმენტებთან (ხელშეკრულება, მემორანდუმი, სამართლებრივი დასკვნა და ა.შ.) მუშაობის წესი და კულტურა, მათი შედგენის ტექნიკა, კლიენტთან ურთიერთობის უნარ–ჩვევები; კლინიკის ხელმძღვანელის ზოგადი მეთვალყურეობის ქვეშ მოახდინოს სამართლებრივი კონსულტაციების მოქალაქეებისთვის გაცემა. მაგისტრანტი გაივლის პრაქტიკულ სემინარებს, რომლებსაც წარუძღვება კლინიკის ხელმძღვანელი - ვასილ გონაშვილი. კლინიკის გავლის ადგილი - იურიდიული ფირმის ოფისი.

საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოების კლინიკის (10 კრედიტი) ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა

გაიაროს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მომზადება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონმდებლობისა და სამართალწარმოების შესახებ. დაწეროს სარჩელი/განაცხადი, იმუშაოს პოზიციების მომზადება/შეჯამებაზე, მოამზადოს შუამდგომლობები და ახსნა/განმარტებები. ორგანიზაციის თანამშრომლის - ადვოკატ-ხელმძღვანელთან ერთად გაუწიოს სამართლებრივი კონსულტაციები მოქალაქეებს. მონაწილეობა მიიღოს კლინიკის ფარგლებში ორგანიზებულ იმიტირებულ პროცესებში. აქტიურად ჩაერთოს, დააკვირდეს და აითვისოს კონსულტაციის, სარჩელის/განაცხადის მომზადებისა და გაგზავნის/წარდგენის პროცედურები. კურსი მოიცავს 15 სასწავლო კვირას (ერთი სასწავლო სემესტრი), კვირაში 2 საკონტაქტო საათს. გასაუბრების შედეგად შერჩეულ მაგისტრანტთა ჯგუფი პრაქტიკას გაივლის ორგანიზაცია "პირველი მუხლის" ოფისში. ჯგუფის ხელმძღვანელობა ადგილზე დაევალება კლინიკის თანამშრომელს - ადვოკატს, ხოლო საერთო ხელმძღვანელობას, კონსულტაციებსა და სასამართლო პროცესებზე თანხლებას, შედეგების განხილვასა და კანონმდებლობის მიმოხილვას უზრუნველყოფს კლინიკის ხელმძღვანელი. კლინიკის აქტივობებია: თეორიული სემინარები: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს• სამართალწარმოება; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სამართალწარმოება; ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სამართალი; საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელის მომზადების ტექნიკა; ევროსასამართლოს განაცხადის შედგენის ტექნიკა. იმიტირებული სასამართლო სხდომები.• კლინიკის ხელმძღვანელი - მაკა ნუცუბიძე. კლინიკის გავლის ადგილი - ა(ა)იპ "პირველი მუხლის" ოფისი.

საკანონმდებლო კლინიკის (10 კრედიტი) ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა გაიაროს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მომზადება საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობის შესახებ. იმუშაოს კანონპროექტებზე, მოამზადოს დასკვნები, როგორც საკომიტეტო განხილვების, ისე პლენარულ სხდომაზე წარსადგენ კანონპროექტებთან დაკავშირებით. კანონპროექტებზე მუშაობის პროცესში გაიუმჯობესოს საკანონმდებლო ტექნიკის, პარლამენტის რეგლამენტისა და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების ცოდნის დონე. აქტიურად ჩაერთოს, დააკვირდეს და აითვისოს საპარლამენტო საქმიანობის, როგორც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი პროცედურები, ისე კანონშემოქმედებითი პროცესები. შეისწავლოს და თავად გახდეს საკანონმდებლო პროცესის მონაწილე. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აითვისონ საკანონმდებლო ხელისუფლების ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები და კანონმდებლისთვის დამახასიათებელი ძირითადი პროფესიული უნარ-ჩვევები. კურსი მოიცავს 15 სასწავლო კვირას (ერთი სასწავლო სემესტრი), კვირაში 4 საკონტაქტო საათს. გასაუბრების შედეგად შერჩეულ მაგისტრანტთა ჯგუფი პრაქტიკას გაივლის ორგანიზაცია "პირველი მუხლის" ოფისში. ჯგუფის ხელმძღვანელობა ადგილზე დაევალება საკანონმდებლო კლინიკის თანამშრომელს - ადვოკატს, ხოლო საერთო ხელმძღვანელობას, სასწავლო ვიზიტებზე თანხლებას, ვიზიტის შედეგების განხილვასა და კანონმდებლობის მიმოხილვას უზრუნველყოფს კლინიკის ხელმძღვანელი. მაგისტრანტები მონაწილეობას

მიიღებენ საკონკურსო იმიტირებულ საკომიტეტო განხილვებში - კანონის კრიტიკული ანალიზის, ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონპროექტის მომზადების, მისი საკომიტეტო სხდომაზე წარდგენისა და ალტერნატიული კანონპროექტის განხილვის ეტაპებზე; შესაბამისი სემინარების ჩატარების გზით კლინიკის მონაწილეები აღიჭურვებიან იმ თეორიული ცოდნითა და ინფორმაციით და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, რაც აუცილებელია აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად; ასევე, მოხდება მათთვის საინფორმაციო ტურის ჩატარება პარლამენტში ყველა ძირითადი დეპარტამენტისა და კომიტეტის მუშაობის ადგილზე გაცნობის მიზნით. კლინიკის აქტივობებია: 1. თეორიული სემინარები: ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონი; საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი; საკანონმდებლო ტექნიკა; ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული და საერთაშორისო სამართალი. 2. სასწავლო ვიზიტების ორგანიზება საქართველოს პარლამენტში. 3. კანონშემოქმედება - 1. კანონპროექტების მომზადება; 2. პარლამენტის მიერ განსახილველ კანონპროექტებზე შენიშვნებისა და დასკვნების მომზადება., იმიტირებული საკომიტეტო განხილვები. კლინიკის ხელმძღვანელი - მაკა ნუცუბიძე. კლინიკის გავლის ადგილი - ა(ა)იპ "პირველი მუხლის" ოფისი.

იურიდიული ფაკულტეტის იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკა (10 კრედიტი) - პრაქტიკული სამართლის კურსის ფარგლებში მაგისტრანტს შესაძლებლობა ეძლევა, აქტიურად ჩაერთოს, დააკვირდეს და აითვისოს ერთ-ერთი ძირითადი იურიდიული სპეციალობის – ადვოკატის - საქმიანობის სპეციფიკა, უნარ-ჩვევები. გასაუბრების შედეგად შერჩეული მაგისტრანტთ აჯგუფი მიმაგრებული იქნება პრაქტიკის გასავლელად იურიდიული ფაკულტეტისი ურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკაში. ჯგუფის ხელმძღვანელობა ადგილზე დაევალებათ საგნის ხელმძღვანელებს. პრაქტიკას კოორდინირებას გაუწევენ, ორგანიზაციულ-სამეცნიერო კუთხით საგნის ხელმძღვანელები და ლიცენზირებული ადკოკატები. პრაქტიკის ფარგლებში მაგისტრანტებს დაენიშნებათ ხელმძღვანელი ადვოკატი, საშუალება მიეცემათ გაეცნონ საადვოკატო საქმიანობის დეტალებს, შეისწავლონ სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის კულტურა, დაცვის ტექნიკა, კლიენტთან ურთიერთობა. ამასთან, პრაქტიკანტები გაივლიან ტრეინინგს პრაქტიკულ უნარ/ჩვევებში, რომელსაც წარუძღვება პრაქტიკოსი იურისტი. კლინიკის ხელმძღვანელი - დემეტრე ეგნატაშვილი, გიორგი ჩაკვეტაძე. კლინიკის გავლის ადგილი - თსუ.

სასამართლო მედიაციის კლინიკა (10 კრედიტი) - სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები უფლებიან მოლაპარაკების, მედიაციისა და მედიაციის პროცესში წარმომადგენლობის საბაზისო პრაქტიკულ უნარებს. კურსი წარიმართება პრაქტიკული სავარჯიშოებისა და როლური გათამაშებების ფორმატში. ამასთან, სტუდენტები ამზადებენ და წარადგენენ პრეზენტაციებს ლექტორის მიერ შეთავაზებულ და მათ მიერ შერჩეულ პრობლემურ საკითხებზე.

ამის შემდეგ სტუდენტები ლექტორთან და სასამართლო მედიაციის ცენტრთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად მორიგეობენ სასამართლოში, სადაც ისინი ხელმძღვანელთან შეთანხმებული ფორმატით აწარმოებენ მოქალაქეების ინფორმირებას მედიაციის და მისი უპირატესობების შესახებ. სტუდენტები მოქალაქეებს აცნობენ მედიაციის ინსტიტუტის არსს და მისი გამოყენების პერსპექტივებს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში და სთავაზობენ მედიაციის პროცესში უფასო წარმომადგენლობის შესაძლებლობას. სასწავლო კურსის ძირითადი მიზანია მაგისტრანტმა შეისწავლოს მედიაციის ინსტიტუტის თავისებურებები. მაგისტრანტი ეცნობა მედიაციის შესახებ საკანონმდებლო რეგულირებას, ამ ინსტიტუტის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების გამოყენების შესაძლებლობებსა და უპირატესობებს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში. მაგისტრანტი ეცნობა ადვოკატის როლს მედიაციის პროცესში. სტუდენტმა უნდა აითვისოს ეფექტური მოლაპარაკების წარმოების უნარ-ჩვევები, რომლებიც სჭირდება მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატს. მაგისტრანტმა ასევე უნდა გაიღრმავოს ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციის, ასევე კონსულტაციის გაცემის უნარები. კლინიკის ხელმძღვანელი - სოფიო ჩაჩავა. კლინიკის გავლის ადგილი - თსუ, თბილისის საქალაქო სასამართლო.

სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრის კლინიკის სტაჟირება (10 კრედიტი) - წარმოადგენს ა(ა)იპ "სამართლებრივი დახმარებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მუნიციპალური ცენტრის" პროგრამის ფარგლებში არსებულ საადვოკატო კლინიკის (15 კრედიტი) გაღრმავებას, რომელიც გულისხმობს მაგისტრანტების განაწილებას იურიდიული დახმარების მომსახურების ოფისებში (მუნიციპალიტეტებში) და ზემოთ მოცემულ (15 კრედიტიანი კლინიკის აღწერისას) აქტივობებს ზედამხედველი ადვოკატის მეთვალყურეობის ქვეშ. კლინიკის ხელმძღვანელი – მარინა ბერაძე. კლინიკის გავლის ადგილი – თბილისის სხვადასხვა მუნიციპალიტეტები.

„ნათია წკეპლაძისა და ალექსანდრე იოსელიანის საადვოკატო ბიუროს" კლინიკა (10 კრედიტი) - იურიდიული ფირმა - შპს „ნათია წკეპლაძისა და ალექსანდრე იოსელიანის საადვოკატო ბიუროს" კლინიკის ფარგლებში მაგისტრანტს შესაძლებლობა ეძლევა აქტიურად ჩაერთოს, დააკვირდეს და აითვისოს ერთ–ერთი ძირითადი იურიდიული სპეციალობის – ადვოკატის – საქმიანობის სპეციფიკა, უნარ–ჩვევები. გასაუბრების შედეგად შერჩეული მაგისტრანტი იურიდიული პრაქტიკის გასავლელად მიმაგრებული იქნება იურიდიული ფირმაში - შპს „ნათია წკეპლაძისა და ალექსანდრე იოსელიანის საადვოკატო ბიურო". პრაქტიკანტის ხელმძღვანელობა ადგილზე დაევალება იურიდიული ფირმა შპს „ნათია წკეპლაძისა და ალექსანდრე იოსელიანის საადვოკატო ბიუროს" ერთ–ერთ უფროს იურისტს. ხოლო პრაქტიკას კოორდინირებას გაუწევენ, ერთის მხრივ, იურიდიული ფირმის მმართველი პარტნიორები, ნათია წკეპლაძე და ალექსანდრე იოსელიანი და, მეორეს მხრივ, განსახილველი საგნის ხელმძღვანელი – სამეცნიერო მხარე. პრაქტიკის ფარგლებში მაგისტრანტს დაენიშნება ხელმძღვანელი იურიდიულ ფირმის ერთ–ერთი იურისტი და

საშუალება მიეცემა გაეცნოს იურიდიული საქმიანობის კონკრეტულ დეტალებს, შეისწავლოს იურიდიულ დოკუმენტებთან (ხელშეკრულება, მემორანდუმი, სამართლებრივი დასკვნა და ა.შ.) მუშაობის წესი და კულტურა, მათი შედგენის ტექნიკა, კლიენტთან ურთიერთობის უნარ–ჩვევები. ყოველკვირეულად მაგისტრანტს ჩაუტარდება ლექციები, რომლის ძირითადი თემატიკა განისაზღვრება მიმდინარე საქმეებით მიხედვით. ამასთან, მაგისტრანტი გაივლის პრაქტიკულ სემინარებს, რომლებსაც წარუძღვება იურიდიული ფირმის პრაქტიკოსი თანამშრომელი - უფროსი იურისტი. იურიდიული კლინიკით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის დასასრულს, იურიდიული ფირმის თანამშრომელთა ხელმღვანელობით პრაქტიკანტი მიიღებს აქტიურ მონაწილეობას მიმდინარე კონკრეტული პროექტების განხორციელებაში. კლინიკის ხელმძღვანელი – ნათია წკეპლაძე. კლინიკის გავლის ადგილი – ბიუროს ოფისი.

საპარლამენტო კლინიკა (10 კრედიტი) - საკანონმდებლო კლინიკის წარმატებით გავლის შემთხვევაში, მაგისტრანტი დაეუფლება სისტემურ ცოდნას კანონშემოქმედებით პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა ინსტიტუტის შესახებ და ამავდროულად, შეიძენს პრაქტიკულ გამოცდილებას საკანონმდებლო პროცედურების განხორციელების პროცესში. უპირველეს ყოვლისა, მაგისტრანტს ექნება სრული წარმოდგენა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტისა და ზოგადად, საქართველოს პარლამენტის საქმიანობაზე და დანიშნულებაზე, მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. მაგისტრანტი უშუალოდ გაეცნობა რიგი პროცედურების, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო და საკონტროლო უფლებამოსილებების განხორციელების პროცესს. კერძოდ, კანონროექტის მომზადებას, მის ინიცირებას და დამუშავებას საქართველოს პარლამენტში, შესაბამისი დასკვნების მომზადებას, საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე კანონპროექტის განხილვას და მიღებას. მაგისტრანტი შეძლებს თვალი ადევნოს საქართველოს პარლამენტის მიერ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ისეთი საკონტროლო უფლებამოსილებების განხორციელებას, როგორიცაა პარლამენტის წევრის კითხვა/შეკითხვის ინსტიტუტი, დროებითი კომისიების საქმიანობა, მთავრობის წევრის მოსმენა, შესაბამისი ანგარიშის მოსმენა.

მაგისტრანტი ჩაერთვება საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის მუშაობაში და შეძლებს საკუთარი წვლილი შეიტანოს კომიტეტის ფუნქციების განხორციელებაში. მაგისტრანტი შეძლებს გაეცნოს, თვალყური ადევნოს და რიგ შემთხვევებში უშუალოდ ჩაერთოს საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის შემდეგი საქმიანობის პროცესში:

- კანონპროექტების, დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების, კომიტეტის გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავება, კანონპროექტებზე დასკვნების, შენიშვნებისა და წინადადებების მომზადება;
- საქართველოს კანონებისა და პარლამენტის დადგენილებების გარდამავალი დებულებებით, პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებებით განსაზღვრული დავალებების დადგენილ ვადაში შესრულების კონტროლი;

- წინადადებების შემუშავება პარლამენტის რეგლამენტში აუცილებელი ცვლილებების შეტანის შესახებ;
- პარლამენტის კომიტეტებში, საგამოძიებო და სხვა დროებით კომისიებსა და მუდმივმოქმედ საპარლამენტოდელეგაციებში წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა;
- არანაკლებ30 000 ამომრჩევლის ინიციატივით კანონპროექტის წარდგენის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების განხორციელება;
- პარლამენტის წევრის სტატუსთანპარლამენტის წევრის თანამდებობრივი და სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის საკითხების შესწავლა და მათზე სათანადო რეაგირება;
- პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობისა და ვადამდე შეწყვეტის საკითხების შესწავლა დაგანხილვა;
- საკონსულტაციო და ანალიტიკურ ფუნქციების შესრულება, ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურება და საქმისწარმოება.

კლინიკის ხელმძღვანელი – გიორგი კახიანი და ირაკლი კობახიძე. კლინიკის გავლის ადგილი – საქართველოს პარლამენტი.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის კლინიკა (10 კრედიტი) - კურსი შედგება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტებისგან. თეორიული ნაწილი შედგება შემდეგი ძირითადი თემატური საკითებისგან:
– პარლამენტისა და მისი აპარატის საქმიანობა
– საკანონმდებლო პროცესი
– კომიტეტის აპარატის საქმიანობა
– საკანონმდებლო ინიციატივისა და წინადადების განხილვის თავისებურებები
– დასკვნის მომზადება კომიტეტის მიერ
– საპარლამენტო და საკომიტეტო კონტროლი.
კურსის პრაქტიკული ნაწილის ფარგლებში მაგისტრანტი უშუალოდ ჩაერთვება კომიტეტის საქმიანობაში, კერძოდ, საკანონმდებლო ინიციატივებსა და წინადადებებზე მოსაზრებების/დასკვნების შემუშავებასა და კომიტეტის სხდომების მომზადებაში. მაგისტრანტი მონაწილე იქნება იმ კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობისა, რომელსაც ახორციელებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატი. კლინიკის მიზანია, მაგისტრანტს მისცეს შესაძლებლობა, გაეცნოს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის საქმიანობას. ამ მიზნის ფარგლებში კლინიკის მიერ დასახული ამოცანები არის მაგისტრანტის უშუალოდ ჩართვა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის საქმიანობაში, მისთვის საკანონმდებლო პროცესის შესახებ თეორიული ცოდნის მიცემა, პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებაში დახმარება, რომლებიც საჭიროა კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისას. კლინიკის

ხელმძღვანელი – ანრი ოხანაშვილი. კლინიკის გავლის ადგილი – საქართველოს პარლამენტი.

პალიტრა მედია ჰოლდინგის იურიდიული კლინიკა (10 კრედიტი) - კლინიკის ფარგლებში მაგისტრანტს შესაძლებლობა ეძლევა აქტიურად ჩაერთოს ჰოლდინგის იურიდიული დეპარტამენტის საქმიანობაში, დააკვირდეს და აითვისოს კორპორაციული იურისტის საქმიანობის სპეციფიკა, უნარ–ჩვევები. გასაუბრების შედეგად შერჩეული მაგისტრანტი იურუდიული პრაქტიკის გასავლელად მიმაგრებული იქნება ჰოლდინგის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელზე, საჭიროების შემთხვევაში მიმაგრება მოხდება დეპარტამენტის იურისტზეც; პრაქტიკანტს საშუალება მიეცემა გაეცნოს იურიდიული დეპარტამენტის საქმიანობის კონკრეტულ დეტალებს, შეისწავლოს იურიდიულ დოკუმენტებთან (ხელშეკრულება, მემორანდუმი, სამართლებრივი დასკვნა და ა.შ.) მუშაობის წესი და კულტურა, მათი შედგენის ტექნიკა, კლიენტთან ურთიერთობის უნარ–ჩვევები. ყოველკვირეულად მაგისტრანტს ჩაუტარდება ლექციები პრაქტიკისას გამოკვეთილ საკითხებზე. პრაქტიკანტი მიიღებს აქტიურ მონაწილეობას მიმდინარე კონკრეტული პროექტების განხორციელებაში. პრაქტიკის მიზანი და ამოცანაა გააცნოს მაგისტრანტი ჰოლდინგის იურიდიული დეპარტამენტის ყოველდღიური მიმდინარე საქმიანობის ძირითად თავისებურებებს; გამოუმუშავოს მას თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების უნარი; შეასწავლოს ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის კულტურა; შეასწავლოს დოკუმენტებთან მუშაობის ტექნიკა; განუვითაროს კლიენტთან მუშაობის უნარები. კლინიკის ხელმძღვანელი – ანრი ოხანაშვილი. კლინიკის გავლის ადგილი – ჰოლდინგის ოფისი.

კორძაძის საადვოკატო ბიუროს კლინიკა (10 კრედიტი) - კორძაძის საადვოკატო ბიუროს კლინიკის კურსის ფარგლებში მაგისტრანტ სტუდენტებს საშუალება მიეცემათ გაეცნონ ადვოკატის საქმიანობის დეტალებს და მიიღონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. მაგისტრანტების შერჩევა ხდება გასაუბრების გზით. გასაუბრების შედეგად შერჩეული სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას კორძაძის საადვოკატო ბიუროში, სადაც მათ ხელმძღვანელობას გაუწევენ ადვოკატები. პრაქტიკანტებს მიეცემათ საშუალება შეადგინონ სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტები (საჩივარი, სარჩელი, შესაგებელი, სამართლებრივი დასკვნა და ა.შ).პრაქტიკანტებს ექნებათ შესაძლებლობა უშუალო მონაწილეობა მიიღონ საქმის წარმოებაში. კურსის მიზანია პრაქტიკანტს მისცეს ადვოკატის საქმიანობისათვის აუცილებელი როგორც პრაქტიკული ისე თეორიული ცოდნა; გააცნოს სასამართლოში საქმისწარმოების დეტალებს; ჩამოუყალიბოს სამართლებრივ დოკუმენტებთან მუშაობის ტექნიკა; ასწავლოს კლიენტთან ურთიერთობა. კლინიკის ხელმძღვანელი – ზვიად კორძაძე. კლინიკის გავლის ადგილი – ბიუროს ოფისი.

იურიდიული კომპანია „ცანავა და პარტნიორების“ საადვოკატო კლინიკა (10 კრედიტი) - იურიდიული კომპანია „ცანავა და პარტნიორების“ საადვოკატო კლინიკის პრაქტიკული

კურსის ფარგლებში, მაგისტრანტს შესაძლებლობა ეძლევა აქტიურად ჩაერთოს, დააკვირდეს და აითვისოს ადვოკატის - საქმიანობის სპეციფიკა, უნარ-ჩვევები. გასაუბრების შედეგად შერჩეული მაგისტრანტთა ჯგუფი საადვოკატო პრაქტიკას გაივლის იურიდიული კომპანია „ცანავა და პარტნიორების“ ადვოკატებთან. ჯგუფს იურიდიული კომპანია „ცანავა და პარტნიორების“ დამფუძნებელი პარტნიორი უხელმძღვანელებს. კურსის ფარგლებში მაგისტრანტებს ხელმძღვანელი ადვოკატი დაენიშნებათ. მაგისტრანტები გაეცნობიან საადვოკატო საქმიანობის დეტალებს, შეისწავლონ სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტის შედგენის წესს, იმუშავებენ დაცვის ტექნიკისა და კლიენტთან ურთიერთობის თავისებურებებზე. კლინიკის ფარგლებში, მაგიტრანტებს ჩაუტარდებათ შეხვედრები სამართლის სხვადასხვა დარგში არსებული პრაქტიკული პრობლემების შესახებ. პრაქტიკის მიზანი და ამოცანაა მომავალი იურისტისთვის საადვოკატო საქმიანობის ძირითად თავისებურებების გაცნობა, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ეფექტურად გამოყენების უნარ–ჩვევების ფორმირება; კლიენტთან მუშაობის, იურიდიული დოკუმენტის შედგენის წესისა და კულტურის, ასევე დაცვის ტექნიკის შესწავლა. კლინიკის ხელმძღვანელი – ცოტნე ცანავა. კლინიკის გავლის ადგილი – ბიუროს ოფისი.

2019წ.